05.06.2026წ.

#

მინდობილობა

შპს "ბეკუ" (ს/კ 202431494, შემდგომში: მინდობილობის გამცემი) უფლებამოსილებას ანიჭებს ლევან ძაგნიძეს (პ/ნ 01002019473, შემდგომში: მინდობილობის მიმღები) იყოს მინდობილობის გამცემის სრულფასოვანი წარმომადგენელი ადგილობრივი მმართველობის ორგანოებში, ქ. თბილისის მერიაში და მის დაქვემდებარებაში არსებულ ყველა სამსახურში, არქიტექტურის სამსახურში, ზედამხედველობის სამსახურში, ურბანული დაგეგმარების სამსახურში, ინფრასტრუქტურის განვითარების სამსახურში და ა.შ.

მინდობილობის გამცემის სახელით და მის ნაცვლად ლევან ძაგნიძე უფლებამოსილია გამოითხოვოს და მიიღოს, შეათანხმოს, წარადგინოს მინდობილობის გამცემის კუთვნილ უძრავ ქონებასთან (მდებარე: ქ. თბილისი, ზაჰესი, ავჭალის ქ. N74, ს/კ 72.12.02.389) დაკავშირებით ნებისმიერი სახის დოკუმენტაცია ან/და ინფორმაცია, რაც დაკავშირებული იქნება ზ/აღნიშნულ უძრავი ქონების ფასადზე ნებისმიერი სახის სარეკლამო აბრების, ბანერების, ლაითბოქსების, აგრეგატების განთავსებასთან ან/და პირველი კლასის მშენებლობისთვის საჭირო ნებართვის მიღებასთან დაკავშირებით.

ლევან ძაგნიძე ასევე უფლებამოსილია წარადგინოს ზ/აღნიშნულთან დაკავშირებული ნებისმიერი სახის პროექტი. განახორციელოს უკვე არსებული სარეკლამო აბრების, ბანერების, ლაითბოქსების ან/და აგრეგატების რეკონსტრუქცია. წარადგინოს/ატვირთოს ყველა აუცილებელი დოკუმენტი, ხელი მოაწეროს ყველა საჭირო განცხადებას, განაცხადს და სხვა ოფიციალურ საბუთს, მიიღოს ხელზე შეთანხმებული ნებართვები, ჩაიბაროს გადაწყვეტილებები ან სხვა სახის დოკუმენტები, გაასაჩივროს გადაწყვეტილებები ან/და ქმედებები, შეიტანოს ცვლილებები წარდგენილ დოკუმენტეციაში/განცხადებაში, მინდობილობის გამცემის სახელით ხელი მოაწეროს ზემოთხსენებულ დავალებასთან დაკავშირებულ ყველა აუცილებელ დოკუმენტაციას და განახორციელოს ყველა სხვა მოქმედება, რაც აუცილებელია წინამდებარე მინდობილობაში მოცემული დავალების შესასრულებლად.

ყოველივე ზ/აღნიშნულთან დაკავშირებით იყოს მინდობილობის გამცემის წარმომადგენელი ნებისმიერ სათანადო ორგანიზაცია დაწესებულებაში, სანოტარო ბიუროში, ფიზიკურ და იურიდიულ პირებთან, ნებისმიერ სსიპ-ში. მიმართოს განცხადებით ზემოთ აღნიშნულ ორგანოებს (ან/და დაწესებულებებს), მიიღოს (გამოითხოვოს) ან/და ჩააბაროს ნებისმიერი სახის ინფორმაცია ან/და საბუთი, ხელი მოაწეროს ნებისმიერი სახის საბუთს, მათ შორის განცხადებებს, ხელშეკრულებებს, შეთანხმებებს, გადაიხადოს სათანადო გადასახადები.

არავის არ აქვს უფლება ეჭვი შეიტანოს მინდობილობის მიმღების უფლებამოსილებაში იმის გამო, რომ კონკრეტული ქმედების განხორციელების უფებამოსილება არ არის მითითებული წინამდებარე რწმუნებულებაში.

მინდობილობა გაცემული 2027 წლის 01 იანვრამდე.

დირექტორი ხვიჩა ბერუაშვილი

დირექტორის ხელმოწერა: _____

შპს „ბეკუ" ბეჭედი: [ბეჭდის ადგილი]